თარიაი ვესოს

ყინულის სასახლე

დიდ ვენეს
ბიბლიოთეკა

თარიაი ვესოს

ყინულის სასახლე

Tarjei Vesaas

THE ICE PALACE

მთარგმნელი: გიორგი მჭედლიშვილი

პროექტის ხელმძღვანელი: ნათია ღელეყვა
რედაქტორი: ლალი ბაქრაძე
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი
გარეკანზე გამოყენებულია მარიამ სინატაშვილის ნახატი

© Gyldendal Norsk Forlag AS 1963
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-949-1

www.diogene.ge

სარჩევი

ნაწილი პირველი – სისი და უნი

1 სისი 9
2 უნი 11
3 ერთადერთი საღამო 17
4 გზისპირზე 31
5 ყინულის სასახლე 36

ნაწილი მეორე – დათოვლილი ხიდები

1 უნი გაუჩინარდა 61
2 უძილო ღამე 69
3 სანამ ხალხი დაიშლება 83
4 ცხელება 85
5 ღრმა თოვლში 88
6 აღთქმა 91
7 უნი ვერ წაიშლება 92
8 სკოლა 97
9 საჩუქარი 102
10 ფრინველი 103
11 ცარიელი სკამი 105
12 დათოვლილი ხიდების ზმანება 108
13 შავი არსებები თოვლზე 109
14 მარტის თვის ხილვა 111
15 ტესტი 122

ნაწილი მესამე – მესაყვირეები

1 დეიდა 127
2 როგორც წყლის წვეთი და რტო 137
3 სასახლე იკეტება 142
4 ყინულის დნობა 144
5 ღია ფანჯარა 149
6 მესაყვირეები 152
7 სასახლე ინგრევა 167

ნაწილი პირველი

სისი და უნი

1

სისი

ნორჩი, თეთრი შუბლი მიარღვევს წყვდიადს. ეს სისია. თერთმეტი წლის გოგონა.

შუადღე ახალი გადასულია, მაგრამ უკვე ბნელა. გვიანი შემოდგომის სასტიკი ყინვაა. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ, მაგრამ არც მთვარეა და არც თოვლი დევს მიწაზე, რომ ეს სუსტი შუქი აირეკლოს. ამიტომ, ვარსკვლავების მიუხედავად, წყვდიადი თანდათან სქელდება. გზის ორივე მხარეს ტყე გარინდებულა – ერთიანად გასუსულა ყველა და ყველაფერი, რასაც კი გაფაჩუნება შეუძლია.

ყინვის გამო თავით ფეხამდე შეფუთული სისი მიაბიჯებდა და თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. პირველად მიდიოდა უნთან – გოგონასთან, რომელსაც თითქმის არ იცნობდა; მიდიოდა რაღაც ახლისკენ და ეს ძალიან აღელვებდა.

უეცრად სისი შეკრთა: ფიქრიცა და მოლოდინიც გამაყრუებელმა გრიალმა შეაწყვეტინა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, თანდათან დაშორდა და ბოლოს სულ მიიკარგა. ასე ყინული გრუხუნებდა ქვემოთ, დიდ ტბაზე და ამაში საშიში არაფერი იყო. პირიქით, ეს იმას ნიშნავდა, რომ სასიხარულო რამ მოხდა – ყინული ცოტათი კიდევ გამაგრდა. ხმა თოფის გასროლასავით ისმოდა, ყინულის ზედაპირზე გაჩენილი გრძელი, დანის პირივით ბასრი ნახეთქები კი ქვევით, სიღრმისკენ მიისწრაფოდნენ. მიუხედავად ამისა, დილიდან დილამდე ყინული უფრო და უფრო მკვრივი და საიმედო ხდებოდა. ამ შემოდგომაზე სასტიკი ყინვა უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა.

სუსხი იკბინებოდა. თუმცა სისის სიცივე არ აშინებდა. სულაც არა. იგი წყვდიადში ატეხილმა გრიალმა შეაკრთო. მერე კი ისევ მტკიცე ნაბიჯით გაუყვა გზას.

უნის სახლამდე დიდი ხნის სავალი არ იყო. სისი ამ გზას კარგად იცნობდა: თითქმის ამავე გზით დადიოდა სკოლაში, მხოლოდ ერთგან უნდა გადაეხვია ცოტათი. ამიტომაც გამოუშვეს მარტო, თუმცა უკვე ბნელოდა. დედა და მამა სიბნელის გამო არ ნერვიულობდნენ. მთავარია, რომ ფართო გზააო, უთხრეს სისის წამოსვლამდე. რაც უნდათ, ის თქვან. თვითონ სისის კი სიბნელის ეშინია.

ფართო გზა კი იყო, მაგრამ დიდი ვერაფერი სიამოვნება გახლდათ სიბნელეში მარტო სიარული. ამიტომ მიაბიჯებდა ასე თავაწეული, ამიტომ ეხლებოდა ქურთუკის თბილ სარჩულს ყრუდ მისი აჩქარებული გულისცემა. ყურები დაეცქვიტა: გზისპირები მეტისმეტად ჩაჩუმებულიყო და მან იცოდა, რომ იქ, ტყეში, ვიღაც კიდევ უფრო ფხიზლად აყურადებდა მის ნაბიჯებს.

ამიტომაც უნდა იარო ყინვისგან გაქვავებულ გზაზე მტკიცე ნაბიჯით, რომ შენი ნაბიჯების ხმა მკაფიოდ გესმოდეს. ცუდად წაგივა საქმე, ცდუნებას თუ აჰყვები და უხმაუროდ ივლი. და მთლად უარესი იქნება, თუ თავგზას დაკარგავ და გაიქცევი. ასე სულ შეიშლები შიშისგან.

ამ საღამოს სისიმ უნი უნდა ნახოს. დროც საკმარისად აქვს, რადგან გვიანი შემოდგომის საღამოები გრძელია. ისე ადრე დაბნელდა, რომ უნთან დიდხანს დარჩენაც შეუძლია და შინ დაბრუნებაც ძალიან გვიან არ მოუწევს, რომ დროზე დაწვეს დასაძინებლად.

„ნეტავ რა დამხვდება უნთან. დარწმუნებული ვარ, რაღაც დამხვდება. მთელი შემოდგომა ამას ველოდი – იმ დღიდან, როცა უნი პირველად მოვიდა სკოლაში. არც კი ვიცი, რატომ“.

ამ შეხვედრის იდეა სულ ახლახან, სწორედ დღეს მოუვიდათ. ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ახლა პირველად ხვდებიან ერთმანეთს სკოლის გარეთ.

უნისკენ მიმავალი სისი მოუთმენლობისგან თრთოდა. გლუვ შუბლს ყინულივით ცივი ჰაერი უსუსხავდა.

2

უნი

თავაწეული და წელგამართული სისი რაღაც ახლის, ამაღელვებლისკენ მიაბიჯებდა. ცდილობდა, სიბნელის შიშს მორეოდა და თან იხსენებდა, რა ვიცი უნის შესახებო.

არსებითად, ბევრი არაფერი იცოდა და არც ვინმე აქაურის გამოკითხვას ჰქონდა აზრი: ვერავინ ეტყოდა უნზე იმაზე მეტს, რაც თვითონ იცოდა.

ეს გოგონა ხომ სულ ახალი გადმოსული იყო. გაზაფხულზე ჩამოვიდა შორეული დასახლებიდან, ანუ მანამდე არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც დაობლდა. დედამისი ავად გახდა და თავის მშობლიურ სოფელში გარდაიცვალა. იქ არც ქმარი ჰყავდა, არც ნათესავები. აქ კი, ამ დასახლებაში, მისი უფროსი და ცხოვრობდა და უნიც სწორედ დეიდამისთან გადმოსახლდა.

დეიდა უკვე დიდი ხანია, აქ ცხოვრობდა. სისი მას თითქმის არ იცნობდა, თუმცა ამ ქალის სახლი მათთან ახლოს იყო. ის მარტოდმარტო უვლიდა თავის პატარა სახლს. გარეთ იშვიათად თუ გამოჩნდებოდა და ისიც მხოლოდ მაღაზიის გზაზე. ამბობენ, რომ დეიდამ უნი ძალიან თბილად მიიღო. ადრე, ძალიან ადრე, როცა სისიმ უნის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, ის და დედამისი ერთად მივიდნენ იმ ქალთან. დედას დახმარება სჭირდებოდა კერვაში. სისის ახსოვდა მარტოხელა ქალი, რომელიც ერთიანად სიკეთეს ასხივებდა. მასზე ცუდი არასოდეს არავის უთქვამს.

როცა უნი აქ გადმოვიდა, მასაც დეიდამისივით განცალკევებით ეჭირა თავი. არ უცდია გოგონებთან დამეგობრება, როგორც ესენი მოელოდნენ და იმედოვნებდნენ. მხოლოდ გზად მიმავალს თუ

დაინახავდნენ ხოლმე, ან კიდევ – ხალხის თავშეყრის ადგილებში. ერთმანეთსაც უცხოებივით უყურებდნენ. რა გაეწყობა! უნი ობოლი იყო და ეს ამბავი მას განსაკუთრებული, იდუმალი სხივით მოსავდა, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ ეს გაუცხოება მალე დასრულდებოდა: შემოდგომაზე სკოლა დაიწყებოდა და ამ ყველაფერს წერტილი დაესმებოდა.

ზაფხულში არც სისის უცდია უნთან დაახლოება. ხანდახან თუ მოჰკრავდა ხოლმე თვალს მას, თავის კეთილ დეიდასთან ერთად. ერთხელ ერთმანეთს ქუჩაში შეხვდნენ და სისიმ შეამჩნია, რომ სიმაღლით თითქმის ტოლები იყვნენ. გაოცებულებმა შეხედეს ერთმანეთს და უხმოდ დაშორდნენ. რამ გააოცათ, თვითონაც ვერ გეტყოდნენ. რაღაცამ, ალბათ...

უნზე ამბობდნენ, მორიდებულიაო. რა ამაღელვებელია. ყველა გოგონა ელოდა, როდის დაიწყებოდა სკოლა და როდის შეხვდებოდნენ მორიდებულ უნს...

სისი ამ შეხვედრას განსაკუთრებული მიზეზით ელოდა. ის ხომ კლასში უპირობოდ პირველობდა და ამას მიჩვეული იყო. როგორღაც ისე მოხდა, რომ სისი იყო ყველაფრის წამომწყები კლასში და ეს ძალიან მოსწონდა. არასდროს დაფიქრებულა, ასე რატომ არისო. ახლაც, უნი მათ წრეს შემოუერთდებოდა და დაინახავდა, რომ სისი ლიდერია.

როცა სწავლა დაიწყო, უკლებლივ ყველა თანაკლასელი – გოგოც და ბიჭიც – ჩვეულებისამებრ, სისის შემოეხვია. მან ცხადად იგრძნო, რომ ეს ძველებურად სიამოვნებდა. შესაძლოა, თავისებურად იზრუნა კიდეც იმაზე, რომ პირველობა შეენარჩუნებინა.

უნი მორიდებულად იდგა მოშორებით. ბავშვებმა გამომცდელად შეათვალიერეს და მაშინვე მოეწონათ. ეტყობოდა, რომ მასთან პრობლემა არ ექნებოდათ. სასიამოვნო გოგონა იყო, მიმზიდველი.

მაგრამ უნი არ განძრეულა, სადაც იდგა, იქვე დარჩა. ბევრნაირად სცადეს მისი აყოლიება, მაგრამ ამაოდ. სისი ჯგუფის შუაგულში იდგა და უნის შემოერთებას ელოდა. ასე ჩაიარა პირველმა დღემ.

კიდევ ბევრმა დღემ გაიარა. უნის დაახლოების სურვილის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. ბოლოს სისი მივიდა და ჰკითხა:

– არ შემოგვიერთდები?

უნმა თავის გაქნევით უპასუხა. თუმცა ორივემ იმწამსვე შენიშნა, რომ ერთმანეთი მოეწონათ. ორივეს მზერაში ნაპერწკალი გაუკრთა: *„მე მას უნდა შევხვდე!“* გამაოგნებელია, მაგრამ ასეა.

გაოცებულმა სისიმ გაიმეორა:

– არ გინდა, შემოგვიერთდე?!

უნმა მორცხვად გაიღიმა:

– არა.

– მაინც რატომ?

კვლავ მორცხვი ღიმილი:

– არ შემიძლია.

სისის მოეჩვენა, თითქოს ორივენი რაღაც მაცდუნებელ თამაშს აჰყოლოდნენ.

– ვერა ხარ კარგად? – ჰკითხა სისიმ ჯიქურ და იმწამსვე ინანა ამ ბრიყვული კითხვის დასმა. უნს არაფერში ეტყობოდა ცუდად ყოფნა.

უნი გაწითლდა.

– არა, ეგ არაფერ შუაშია.

– ჰო, მეც ეგრე ვიფიქრე. მაგრამ ცუდი არ იქნებოდა, თუ შემოგვიერთდებოდი.

– მაგაზე ნულარაფერს მკითხავ, – თქვა უნმა.

სისის თითქოს ცივი წყალი გადაასხეს და ენა ჩააგდებინეს. გაწბილებული დაბრუნდა მეგობრებთან და ყველაფერი უამბო.

ასე რომ, უნისთვის მეტად აღარ დაუძახიათ. ისიც, ძველებურად, განცალკევებით იდგა და მათ თამაშებში არ ერეოდა. ვიღაცამ თქვა, ამპარტავანიაო, მაგრამ სხვები ამ აზრს არ აჰყოლიან და არავის უცდია უნის გაღიზიანება. მას ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც ამის საშუალებას არ იძლეოდა.

გაკვეთილებზე პირველი დღეებიდანვე გაირკვა, რომ უნი მთელ კლასში ერთ-ერთი ყველაზე გონიერი მოსწავლე იყო. თუმცა ამით არ ყოყოჩობდა. ამიტომ მის მიმართ ყველა უნებლიე პატივისცემით განეწყო.

სისი ამ ყველაფერს ამჩნევდა. გრძნობდა, რომ ამ გოგოში, რომელიც სკოლის ეზოში განმარტოებით დგას, რაღაც ძალაა, რომ ის სულაც არ არის საცოდავი და დაჩაგრული. სისი პირველობისკენ ისწრაფოდა და ეს მშვენივრად გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ეს მოშორებით მდგომი გოგო მასზე ძლიერი იყო, თუმცა არც არაფერს აკეთებდა და გვერდითაც არავინ ჰყავდა მხარდამჭერი. სისი მარცხდებოდა უნთან; იქნებ, სხვა გოგონებსაც ასე მიაჩნდათ და, უბრალოდ, მასთან მისვლას ვერ ბედავდნენ. სისი და უნი თითქოს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ოღონდ უსიტყვოდ და შეუმჩნევლად. ეს მხოლოდ ამ ორს ეხებოდა.

ცოტა ხანში სისიმ შეამჩნია, რომ გაკვეთილების დროს უნი მას უყურებდა ხოლმე. უნი ორიოდე მერხით უკან იჯდა და ამიტომაც, სურვილისამებრ, შეეძლო წინ მჯდომი სისისთვის ეცქირა.

ასეთ დროს სისის მთელ ტანში სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა. იმდენად სიამოვნებდა, რომ ძლივს ახერხებდა ამ განცდის დამალვას. თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერ ამჩნევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც ახალი და სასიხარულო იწყებოდა. ეს არ იყო გამომცდელი ან ეჭვიანი მზერა. თუ ასეთ დროს სისი უცბად შემოტრიალდებოდა და უნის თვალებს შეხვდებოდა, მის მზერაში *სწრაფვას* კითხულობდა და *მოლოდინს*. როგორც კი გარეთ გავიდოდნენ, უნი კვლავ გულგრილობის ნიღაბს ირგებდა და თავს ისევ შორს იჭერდა. მაგრამ სისი ტანში ისევ იმ სიხარულის ჟრჟოლას გრძნობდა: უნი ზის და მე მიყურებს.

სისი ყოველთვის ცდილობდა, უნისთვის თვალებში არ შეეხედა. ვერ ბედავდა ჯერ. მხოლოდ ხანდახან, შემთხვევით თუ სტყორცნიდა სწრაფ მზერას.

„რა უნდა უნს? ალბათ, ოდესმე მეტყვის“, – ფიქრობდა სისი.

სკოლის ეზოში უნი კვლავ კედელთან იდგა ხოლმე და არც ერთ თამაშში არ ერეოდა. იდგა და მშვიდად შესცქეროდა მოთამაშე თანაკლასელებს.

„დაველოდები. ჯობს, დაველოდო და აუცილებლად დადგება დღე, როცა... მანამდე კი ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის. ასეც საოცარია და მშვენიერი“, – ფიქრობდა სისი.

სხვებმა არაფერი არ უნდა შეამჩნიონ. სისის ეჩვენებოდა, რომ ასეც იყო, სანამ ერთმა გოგონამ, ცოტა არ იყოს, ეჭვნარევი ხმით არ უთხრა:

– ძალიან დაინტერესდი ამ უნით!

– სულაც არა!

– ვითომ? სულ იმას კი უყურებ... გგონია, ვერ ვამჩნევთ?

„ნუთუ მართლა ასეა?“ – ფიქრობდა გაოგნებული სისი.

გოგონას ღვარძლიანად გაეღიმა:

– ეს ჩვენ დიდი ხანია, შევნიშნეთ.

– კეთილი, ეგრე იყოს. და იმდენ ხანს ვუყურებ, სანამ არ მომწყინდება!

– ჰო, რა თქმა უნდა.

სისი გამუდმებით ამაზე ფიქრობდა. როგორც იქნა, ეს დღეც დადგა, *დღეს* დადგა. ჰოდა, ამიტომაც მიაბიჯებდა ახლა ამ გზაზე.

დღეს დილით მერხზე პირველი ბარათი დახვდა:

„უნდა შეგხვდე, სის. უნი“.

თითქოს საიდანღაც სინათლის სხივი შემოიჭრა.

სისი შემობრუნდა და უნის მზერას წააწყდა. თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს! საოცარია! და მორჩა! კმარა ამაზე ფიქრი!

ამ მშვენიერ დღეს ბევრმა ბარათმა იფრინა აქეთ-იქით. კეთილმოსურნე ხელები დაუზარებლად გადასცემდნენ მათ მერხიდან მერხზე.

„მეც მინდა, რომ შეგხვდე. სისი“.

„*როდის?*“

„როცა გინდა, უნ. თუნდაც დღეს“.

„მაშინ დღეს იყოს“.

„გაკვეთილების შემდეგ შინ წამომყვები, უნ?“

„არა. შენ წამოდი ჩემთან. თუ არადა, არ მინდა“.

სისი სწრაფად შემოტრიალდა. ეს რაღა იყო? თვალებში შეხედა უნს, რომელმაც ბოლო წერილი თავის დაქნევითაც დაუდასტურა. სისის წამითაც არ უყოყმანია: „წამოგყვები“.

წერილები შეწყდა. მეტი აღარაფერი დაუწერიათ. გაკვეთილების შემდეგ ერთმანეთს მიუახლოვდნენ და სწრაფად და გაუბედავად ალაპარაკდნენ. იქნებ, მაინც შენ წამოსულიყავი ჩემთანო, – სთხოვა სისიმ.

– რატომ?

სისი შეყოყმანდა. სინამდვილეში უნის მოპატიჟება იმიტომ უნდოდა, რომ მისთვის ისეთი რაღაცების ჩვენება შეეძლო, რაც დეიდამისის სახლში არ იყო. თანაც სისი მიჩვეული იყო, რომ გოგონები მოდიოდნენ ხოლმე მასთან და არა პირიქით. მაგრამ ამას უნს ვერ ეტყოდა. შერცხვა და ესღა უთხრა:

– არაფერი, ისე.

– ესე იგი, ახლა წამოხვალ?

– არა, ახლავე არა. ჯერ შინ უნდა დავბრუნდე და ჩემებს გავაგებინო, სად მივდივარ.

– ეგრე იყოს.

– მაშინ საღამოს მოვალ, – დარცხვენით თქვა სისიმ. აბნევდა ის იდუმალება, რომლითაც მის თვალში უნი იყო მოცული.

აი, რა იცოდა სისიმ უნის შესახებ. ახლა კი მისკენ მიეშურებოდა მას შემდეგ, რაც შინ მივიდა და თავისიანები გააფრთხილა.

სუსხი იკბინებოდა. ფეხქვეშ მიწა ჭრაჭუნებდა, ქვემოთ კი ყინული გრუხუნებდა. მერე კი სისიმ თვალი მოჰკრა პატარა სახლს, რომელშიც უნი და დეიდამისი ცხოვრობდნენ. არყის ხეების შეჭირხლულ ტოტებს სახლიდან გამომავალი სინათლე ეცემოდა. გოგონას გული სიხარულითა და მოლოდინით შეუფრთხიალდა.

3

ერთადერთი საღამო

უნი, ალბათ, ფანჯარასთან იდგა და ელოდა, რადგან მანამდე გამოეგება, სანამ სისი პარმაღთან მივიდოდა. ისევ სკოლის ფორმაში იყო. ტანისამოსი არ გამოეცვალა.

– ბნელოდა, ჰო?

– ჰო, მაგრამ არაფერია, – უპასუხა სისიმ, თუმცა იმ ჩაბნელებული ტყის გამოვლამ გვარიანად დააფრთხო.

– ალბათ, ციოდა კიდეც, არა? ამ საღამოს საშინელი ყინვაა.

– ეგეც არაფერია, – გაიმეორა სისიმ.

– რა კარგია, რომ ჩვენთან მოხვედი, – თქვა უნმა, – დეიდა მბობს, რომ აქ ერთადერთხელ ყოფილხარ, სულ პატარა.

– ჰო, მახსოვს. მაშინ შენ შესახებ არაფერი ვიცოდი.

საუბრობდნენ და თან ერთმანეთს ათვალიერებდნენ. ამ დროს გამოჩნდა სასიამოვნოდ მოღიმარი დეიდაც.

– ეს ჩემი დეიდიკოა, – თქვა უნმა.

– საღამო მშვიდობისა, სის. შიგნით შემოდი, გარეთ ძალიან ცივა. გათბი, გაიხადე.

დეიდა მშვიდად და ალერსიანად ლაპარაკობდა. თბილ ოთახში შევიდნენ. სისიმ გაყინულ-გაქვავებული ბოტები გაიძრო.

– თუ გახსოვს, როგორ გამოიყურებოდა აქაურობა, პირველად რომ იყავი? – ჰკითხა დეიდამ.

– არა.

– ჰოდა, არაფერი შეცვლილა, ზუსტად ისევეა, როგორც მაშინ. დედაშენს ახლდი, მშვენივრად მახსოვს.

დეიდა ენაწყლიანი ქალი ჩანდა. ალბათ, იშვიათად თუ ეძლეოდა მუსაიფის შესაძლებლობა. უნი იდგა და ელოდა, როდის შეიყვანდა სისის თავისთან. მაგრამ დეიდას სტუმარი ჯერ არ ეთმობოდა.

– მას შემდეგ ბევრგან გნახე, ჩვენთან კი აღარ მოსულხარ, სის. თუმცა აქ რისთვის უნდა მოსულიყავი, სანამ უნი ჩემთან არ გადმოვიდოდა. ახლა სულ სხვაა. ბედი მეწია, რომ უნი მყავს, ხომ გესმის?

უნი მოუთმენლობისგან ცმუკავდა.

– ვიცი, უნ, ვიცი. მაგრამ ასე ნუ ჩქარობ. ახლა სისიმ რაიმე ცხელი უნდა დალიოს.

– არ მცივა.

– უკვე ყველაფერი გავამზადე. ღუმელზეა – არ დაიშალა დეიდამ, – მგონი, მეტისმეტად ცივა და მეტისმეტად გვიანია საიმისოდ, რომ ასეთ ამინდში კაცი გარეთ გავიდეს. ჯობდა, კვირას მოსულიყავი.

სისიმ უნს შეხედა და თქვა:

– მაგას ვერ ვიზამდი, იმიტომ რომ ეს *დღეს* იყო.

დეიდამ მხიარულად გადაიკისკისა:

– ჰოო, მაგ შემთხვევაში...

– და შინაც მანამდე დავბრუნდები, სანამ დედა და მამა დაწვებიან, – დააბოლოვა სისიმ.

– ჰო. ახლა მოდი და ეს მიირთვი.

გოგონებმა დალიეს, რაც დეიდას მათთვის მოემზადებინა.

სასმელი გემრიელიც იყო და გაათბოთ კიდეც. სისი სასიამოვნო მოუთმენლობამ შეიპყრო. ისინი მალე მარტო დარჩებიან.

– მე ჩემი ოთახი მაქვს, – თქვა უნმა, – იქ შევიდეთ.

სისი შეკრთა. ახლა დაიწყება!

– შენც ხომ გაქვს შენი ოთახი, სის?

სისიმ თავი დაუქნია.

– წამოდი.

მეგობრული და ენაწყლიანი დეიდაც აშკარად აპირებდა გოგონებთან ერთად უნის ოთახში შესვლას, მაგრამ ნურას უკაცრავად! უნმა ისეთი მკვეთრი ჟესტით შეაჩერა, რომ დეიდამ სკამიდან წამოდგომაც ვერ მოასწრო.

უნს გაწკრიალებული ოთახი ჰქონდა და, ცოტა არ იყოს, უცნაური. სისიმ ეს იმწამსვე იგრძნო. ოთახს ორი პატარა ნათურა ანათებდა. კედლებზე უამრავი გაზეთიდან ამონაჭერი და ქალის ფოტოსურათი ეკიდა. ფოტოზე აღბეჭდილი ქალი იმდენად ჰგავდა უნს, რომ მისი ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. ცოტა ხნის შემდეგ სისი მიხვდა, რომ ეს ოთახი სულაც არ იყო უცნაური, პირიქით, ძალიან ჰგავდა მის საკუთარ ოთახს.

უნმა სისის კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო.

– კარგი ოთახი გაქვს, – თქვა სისიმ.

– შენი როგორია? უფრო დიდი?

– არა, დაახლოებით ამხელა.

– უფრო დიდი საჭირო არ არის.

– ჰო, არ არის.

ერთმანეთს რომ გაშინაურებოდნენ, ცოტახანს, ალბათ, უბრალო წვრილმანებზე უნდა ელაყბათ. სისი ერთადერთ სკამზე იჯდა ფეხებგამოწვდილი. უნი საწოლის კიდეზე ჩამომჯდრიყო და ფეხებს ჰაერში აქანავებდა.

აზრები მოიკრიბეს და ერთმანეთი გამომცდელი მზერით შეათვალიერეს, თითქოს თვალით გაზომეს. ლაპარაკის დაწყება არც ისე იოლი აღმოჩნდა. რაღაც გაუგებარი აბრკოლებდათ. ერთურთისკენ ასეთი სწრაფვაც თავისებურად აცბუნებდათ. ბოლოს გამგებიანი, მოლოდინით აღსავსე და, იმავე დროს, დარცხვენილი მზერა შეაგებეს ერთმანეთს.

უნი იატაკზე ჩამოხტა, კარის სახელური მოქაჩა და გასაღები გადაატრიალა.

ამ ხმამ სისი შეაკრთო.

– ეგ რატომ ჰქენი? – ჰკითხა სწრაფად.

– დეიდაჩემი რომ არ შემოვიდეს.

– მისი გეშინია?

– მეშინია? არა, რა თქმა უნდა. მინდა, რომ მარტო ჩვენ ვიყოთ. ახლა ვეღარავინ შემოვა!

– ჰო, ველარავინ შემოვა, – გაიმეორა სისიმ და უეცრად თავი ბედნიერად იგრძნო: მათ შორის ურთიერთობის ძაფი იბმებოდა! თუმცა ჯერჯერობით ორივე თავ-თავის ადგილზე იჯდა და ხმას არ იღებდა.

– რამდენი წლის ხარ, სის? – იკითხა ბოლოს უნმა.

– თერთმეტს გადავცდი.

– მეც თერთმეტის ვარ.

– დაახლოებით ერთი სიმაღლის ვართ.

– ჰო, თითქმის ერთი ზომის.

მართალია, ერთმანეთს უკვე დაუახლოვდნენ, მაგრამ საუბრის გაგრძელება მაინც უჭირდათ. ისხდნენ, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და ხელებს ახლოს მდებარე საგნებზე აფათურებდნენ. მყუდრო ოთახში საკმაოდ თბილოდა. ეს, რა თქმა უნდა, მოგუგუნე ღუმლის დამსახურება იყო, მაგრამ არა მხოლოდ მისი. ღუმელი ვერ უშველიდათ, საერთო ენა რომ არ გამოეძებნათ.

– მოგწონს აქ ჩვენთან ერთად ცხოვრება?

– ჰო, მომწონს დეიდაჩემთან ყოფნა.

– ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ მე სხვა რამეს გეკითხები: ჩვენთან, ანუ სკოლაში... და რატომ არასოდეს...?

– ა, მაგაზე ამბობ?! ხომ გითხარი, ეგ აღარ მკითხო-მეთქი, – თქვა უნმა უკმეხად და სისიმაც უკვე ინანა, ეს რატომ ვკითხეო.

– დარჩები აქ? – ჰკითხა სწრაფად და გაიფიქრა, რომ ამჯერად სახიფათო არაფერი უკითხავს. რა იყო ამაში სახიფათო? არც არაფერი. თუმცა რას გაიგებ, აბა? დარწმუნებული ვერასოდეს იქნები.

– ჰო, ვაპირებ, – უპასუხა უნმა, – დეიდას გარდა, სხვა არავინ მყავს, ვისთანაც ვიცხოვრებდი.

ისევ გაჩუმდნენ. შემდეგ უნმა გამომცდელად ჰკითხა:

– დედაჩემზე რატომ არაფერს მეკითხები?

– რა? – სისიმ თვალი აარიდა და თითქოს რაღაცაში გამოიჭირესო, კედელს მიაჩერდა. – არ ვიცი.

შემდეგ ისევ უნის თვალებს წააწყდა. თვალს ველარ აარიდებდა. ვერც ამ კითხვაზე პასუხს აარიდებდა თავს. უნი იმას ეკითხებოდა, რაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო. ამიტომაც უნდა ეპასუხა.